ხელშეკრულება N314

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

დაბა შუახევი 15 დეკემბერი **2014** წელი

ერთის მხრივ, შუახევის მუნიციპალიტეტი (შემდგომში -შემსყიდველი), გამგებლის ტარიელ ებრალიძის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ „ **მერაბ ქიზინიძის**“ სახით (შემდგომში -მიმწოდებელი) , ორივე ერთად წოდებული როგორც ,,მხარეები“, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10^1 -ე მუხლის, მე-3-ე პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1 შესყიდვის ობიექტია: **შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლებისთვის (ზემოხევი, მჭედლური, ზამლეთი, წაბლანა, ტბეთი,ფოთელური, ტომაშეთი, ნიგაზეული) სოფლის სახლებისა და კლუბების ინვენტარის და ელექტრო ძრავების,პლასტიკატის შესყიდვა**

CPV: 39150000-სხვადასხვა სახის ავეჯი და მოწყობილობები

CPV: 31110000-ელექტრო ძრავები

CPV: 44110000-სამშენებლო მასალები

1.2 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მახასიათებლები და რაოდენობები მოცემულია დანართ N 1 ფასების ცხრილში, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **6563 (ექვსი ათას ხუთას სამოცდასამი)**ლარს

2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და სტანდარტი

2.1

ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტებსა და ტექნიკურ ნორმებს მიმწოდებელი იძლევა ვალდებულებას, რომ მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს სემსყიდველის მომთხოვნებს

2.2. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გარეშე

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი , რათა დარწმუნდნენმათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

3.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კონტროლს განახორციელებს **შუახევის მუნიციპალიტეტის 2014 წლის პრიორიტეტების მიმღები კომისია**

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, პირობები და ადგილი

4.1 ხელშეკრულების გაფორმებიდან **10 (ათი)** კალენდარული დღის განმავლობაში.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია ამ თავის 4.1 პუნქტის შესაბამისად უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება. საქონლის მიღებას შემსყიდველი განახორციელებს საკუთარი ხარჯებით.

4.3 საქონლის მიწოდების ადგილია : **დანართში მითითებული მუნიციპალიტეტის სოფლები**

4.4. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს მიწოდებული საქონელი ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.

5.2 თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.

5.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან, ხელახლა ინსპექტირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის ღირებულების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

5.4 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.5 მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შემდეგ.

6. ანგარისწორება

6.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

6.2 ანგარიშსწორება მოხდება 2014 წლის ბიუჯეტით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 14 კალენდარული დღის განმავლობაში.

6.3. ანგარიშსწორებისას დღგ-ს არ გადამხდელზე გადასახდელი თანხა შემცირდება დღგ-ს თანხის ოდენობით.

7. ფასები

7.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

7.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

7.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

7.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ან შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელსეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.5 მხარეს შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე აშკარად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნას.

8.6 თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდა, რომ არსებობს რეალური საშიშროებას იმისა, რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალებულებებს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაზე ადრე მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა.

8.7 წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეტა სეთანხმების საფუძველზე.

8.8 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათავალისწინებული სხვა შემთხვევებში.

8.9 ერთ-ერთი მხარის ნინიციატივით წინამდებარე ხელსეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

9. უფლებების გადაცემა

9.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე , არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მესამე მხარეს

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულება

10.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

10.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს

ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს.

10.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.4 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის (მიმწოდებელი) აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვეში.

11. ფორს-მაჟორული სიტუაცია

11.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშვალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

11.2 ხელსეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორს-მაჟორული გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.3 მხარეს, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წერილობით ამის შესახებ მეორე მხარეს. ამასთანავე მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში

12. დავები და მათი გადაწყვეტილების წესი

12.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანმხდებიან მასზე, რომ ყველა ღონეს იხმარებენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელსეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეტანხმებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს. თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

13. გამოყენებული სამართალი

13.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14. გადასახადები და დაბეგვრა

14.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს 2014 წლის 31 დეკემბრამდე

16. სხვა პირობები

16.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელსეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

16.2 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელნმოწერის მომენტიდან.

16.3 ხელშეკრულება იდება ორი ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, თითო ეგზემპლიარი ინახება ხელშეკრულების დამდებ მხარეებთან.

17. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
შუახევის მუნიციპალიტი	ი/მ ,,მერაბ ქიძინიძე"
მის: დაბა შუახევი, თამარ მეფის ქ.30.	მის: შუახევი.სოფელი კობალთა
ს/ს ,, ლიბერთი ბანკის''	სს ,,ტაოპრივატ ბანკი''
შუახევის ფილიალი	
ბ/კოდი: LBRTGE22	ბ/კოდიბ GAVOGE22
ა/ნ GE 35 LB 0120124700733001	ა/ნ GE17TP0036010020012348
ს/კ 247865145	ს/კ 61006024107

შუახევის მუნიციპალიტეტის

გამგებელი:

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ 2014 წელს შეძენის განსახორციელებელი

ღონისძიებები შუახევის მუნიციპალიტეტში

№	გასატარებელი ღონისძიებები	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საგარანტიო ღირებულება (ლარი)	მთლიანი ღირებულება	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7
	სოფელ ზემოხევი					
	სოფლის სახლის ინვენტარი					
	მაგიდა მისადგმელით	კომპლ	1	250	250,00	ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღე
	სკამი (ნახევრადრბილი)	ც	36	24,00	864,00	
	ჯამი				1114,00	
	პრედედენტი ინდ. მეწარმე მერაბ ქიზინიძე					

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ 2014 წელს შეძენის განსახორციელებელი

ღონისძიებები შუახევის მუნიციპალიტეტში

№	გასატარებელი ღონისძიებები	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საფასო ღირებულება (ლარი)	მთლიანი ღირებულება	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7
	სოფელ მჭედლური					
	სოფლის სახლის ინვენტარი					
	დენის გენერატორი 0,8 კვტ-იანი	ც	1	140,00	140	ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღე
	სკამი (ნახევრადრბილი)	ც	19	22,00	418,00	
	წისქვილის ძრავი 5 კვტ სიმძლავრის(მეორადი)	ც	1	500	500,00	
	ჯამი				1058,00	
	პრედედენტი ინდ. მეწარმე მერაბ ქიზინიძე					

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ 2014 წელს შეძენის განსახორციელებელი

ღონისძიებები შუახევის მუნიციპალიტეტში

№	გასატარებელი ღონისძიებები	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საგარანტიო ღირებულება (ლარი)	მთლიანი ღირებულება	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7
	სოფელ ზამლეთი					
	დაწყებითი სკოლის მოწყობისატვის პლასტიკატის შეძენა					
	პლასტიკატი(პლინტუსებით)	კვმ	175	7,00	1225,00	ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღე
	ჯამი				1225,00	
	პრეედედენტი ინდ. მეწარმე მერაბ ქიზინიძე					

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ 2014 წელს შეძენის განსახორციელებელი

ღონისძიებები შუახევის მუნიციპალიტეტში

№	გასატარებელი ღონისძიებები	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საბარაუდო ღირებულება (ლარი)	მთლიანი ღირებულება	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7
	სოფელი წაბლანა					
	სოფლის სახლის მოწყობისათვის საჭირო ინვენტარი					
	პლასტიკატი(პლინტუსებით, 25 სმ სიგანის, ყვითელი ფერის)	კვმ	54	8,00	432,00	ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღე
	ჯამი				432	
	პრედედენტი ინდ. მეწარმე მერაბ ქიზინიძე					

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ 2014 წელს შეძენის განსახორციელებელი

ღონისძიებები შუახევის მუნიციპალიტეტში

№	გასატარებელი ღონისძიებები	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საგარაუდო ღირებულება (ლარი)	მთლიანი ღირებულება	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7
	სოფელი ტბეთი					
	სოფლის სახლისათვის ინვენტარის შეძენა					
	დენის გენერატორი 0,8 კვტ-იანი	ც	1	140,00	140	ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღე
	ფანჯრის შუშა	კვმ	3	17,00	51	
	ჯამი				191,00	
	პრედედენტი ინდ. მეწარმე მერაბ ქიზინიძე					

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ 2014 წელს შეძენის განსახორციელებელი

ღონისძიებები შუახევის მუნიციპალიტეტში

№	გასატარებელი ღონისძიებები	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საგარაუდო ღირებულება (ლარი)	მთლიანი ღირებულება	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7
	სოფ ფოთელური					
	სარიტუალო ინვენტარი და ჭურჭელი					
	დენის გენერატორი 0,8 კვტ-იანი	ც	1	140,00	140	ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღე
	ჯამი				140	
	პრედედენტი ინდ. მეწარმე მერაბ ქიზინიძე					

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ 2014 წელს შეძენის განსახორციელებელი

ღონისძიებები შუახევის მუნიციპალიტეტში

№	გასატარებელი ღონისძიებები	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საგარაუდო ღირებულება (ლარი)	მთლიანი ღირებულება	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7
	სოფელი ტომაშეთი					
	სოფლის სახლისატვის ინვენტარის შეძენა					
	დენის გენერატორი 0,8 კვტ-იანი	ც	1	140,00	140,00	ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღე
	წისქვილის ძრავი 5 კვტ სიმძლავრის	ც	1	500	500,00	
	ჯამი				640,00	
	პრედედენტი ინდ. მეწარმე მერაბ ქიზინიძე					

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ 2014 წელს შეძენის განსახორციელებელი

ღონისძიებები შუახევის მუნიციპალიტეტში

№	გასატარებელი ღონისძიებები	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საგარანტიო ღირებულება (ლარი)	მთლიანი ღირებულება	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7
	სოფელ ნიგაზეული					
	სოფლის კლუბის ინვენტარი					
	მაგიდის ჩოგბურთის სათამაშო მაგიდა	ც	1	500,00	500,00	ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღე
	აკარდიონი	ც	1	1043,00	1043,00	
	დოლი	ც	1	220,00	220,00	
	ჯამი				1763,00	
	პრედედენტი ინდ. მეწარმე მერაბ ქიზინიძე					